



**საკანსადიო  
საჩივარი  
აღმინისტრაციულ საქმეზე**

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

*შტამპის ადგილი*

**კასატორი:** *შენიშვნა-1*

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"	204952676	0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, მე-4 სართული		
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) <i>შენიშვნა-2</i>		
ალტერნატიული მისამართი <i>შენიშვნა-3</i>		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
222 38 74				greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

**კასატორის წარმომადგენელი:** *შენიშვნა-4*

1) ნინო გუჯარაიძე	01015010047	1) 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, მე-4 სართული		
2) ირმა მახათაძე 3354	18001007618	2) თბილისი, კოსტავას ქ. №76ა, ბინა #6		
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
	1) 599902520			ngujaraidze@greenalt.org
	2) 599717407			irma_maxatadze@yahoo.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

**მოწინააღმდეგე მხარე:** *შენიშვნა-5*

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (უფლებამონაცვლე - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს)		1. 0159, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6		
2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო		2. 0112, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150		
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) <i>შენიშვნა-6</i>		

	1. 2727219			
	2. 2439503			

სახლის ტელ.      სამსახურის ტელ.      მობილური      ფაქსი      ელექტრონული ფოსტა

**საკონტაქტო პირი:** *შენიშვნა-7*

--	--	--	--	--

სახელი, გვარი      სახლის ტელ.      მობილური      ელექტრონული ფოსტა

*შენიშვნა-8*

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: [forms@hcoj.gov.ge](mailto:forms@hcoj.gov.ge)  
 სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge)

## განსახილველი გადაწყვეტილება

შენიშვნა-9

სასამართლოს დასახელება:	თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მომხსენებელი მოსამართლე:	მანანა ჩოხელი
საქმის ნომერი:	38/733-16
მიღების თარიღი:	2017 წლის 27 სექტემბრის განჩინება, რომელიც ჩაგვბარდა 2018 წლის 28 აპრილს

### გადაწყვეტილებას განსახილველად:

სრულად	<input checked="" type="checkbox"/>
ნაწილობრივ	<input type="checkbox"/>
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-10

### საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 სექტემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" სარჩელი სრულად.

შენიშვნა-11

## კასაციის საფუძვლები (მიზეზები)

### გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- |                                     |  |
|-------------------------------------|--|
| <input type="checkbox"/>            | საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;  |
| <input type="checkbox"/>            | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;  |
| <input type="checkbox"/>            | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;   |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;  |
| <input checked="" type="checkbox"/> | გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;   |
| <input checked="" type="checkbox"/> | გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;   |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;   |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;  |
| <input type="checkbox"/>            | საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.   |

დასაბუთება: სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" სააპელაციო საჩივრის მოტივების გათვალისწინებით არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუმოწმებია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების თანახმად მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

### დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააკვლაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

შენიშვნა-13 შენიშვნა-14

წინამდებარე საკასაციო საჩივარი დასაშვებია სსსკ-ის 34.3 მუხლის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და ამავე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. კერძოდ:

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის "ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა,

გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. საქმის სასამართლო განხილვით დასტურდება, რომ სასამართლო შემადგენლობამ არ შეისწავლა და არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები სრულყოფილად. აქედან გამომდინარე, არასწორად იმსჯელა დავის საგანთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტი და მისი წარმომადგენლები საქმის განხილვისას ორივე ინსტანციის სასამართლოში დაჟინებით მიუთითებდნენ იმ ფაქტობრივი გარემოებების და შესაბამისი მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც უცილობლად განაპირობდნენ სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულიად დაუსაბუთებელია მიგვაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უხეშად დაარღვია ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები.

გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ უფლებელყო საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3. მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ხელმძღვანელობით სტანდარტთან დაკავშირებით (საქმე №ბს-52-52(კ-08)) კერძოდ: „სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში

მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრობითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისვე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სასამართლომ თითოეული საქმის განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმეზე განახორციელა ფორმალური მართლმსაჯულება, რაც გამოიხატა პალატის მიერ სსსკ-ის 390.2 მუხლის "გ" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრული სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციის საწინააღმდეგოდ განხორციელებაში. წინამდებარე საქმეზე მართლმსაჯულების ფორმალურად განხორციელებას ადასტურებს კასატორის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის სრულყოფილად შესწავლისა და საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დაცვით სწორად შეფასების შემთხვევაში, საქმეზე გამოტანილი იქნებოდა არსებითად სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები. მითითებული საპროცესო დარღვევების გამო, ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად, საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება. სასამართლომ არ შეამოწმა და არ შეაფასა სარჩელში, საპაექრო სიტყვაში, სააპელაციო საჩივარში, ახსნა-განმარტებებში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება გაუქმებას.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლები და არ გამოითხოვა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და ინფორმაცია. კერძოდ: საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე არ შეაფასა საქმიანობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ განცხადების წარდგენიდან ერთ დღეში რამდენად არის შესაძლებელი ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილად ჩატარება მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებლობით სავალდებულოა სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობა, სასამართლომ არ გამოიკვლია (მიუხედავად მოსარჩელის არაერთგზის მითითებისა) საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2014 წლის 30 დეკემბრის #2-03/9107 მიმართვაში 6 პუნქტად ჩამოყალიბებული კონკრეტული ტექნიკური პირობების შეთანხმება სად და ვის მიერ მოხდა 2014 წლის 31 დეკემბრამდე (ერთ დღეში), კონკრეტულად რომელ დოკუმენტში აისახა ამ ტექნიკური პირობების შეთანხმების შესახებ, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის "სხვა" ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანება. სააპელაციო საჩივრის დასახელებულ მოტივზე სააპელაციო პალატამ საერთოდ არ იმსჯელა და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში წარმოადგინა "ორიგინალური დასკვნა", რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2014 წლის 30 დეკემბრის #2-03/9107 მიმართვაში 6 პუნქტად ჩამოყალიბებული მითითებები კონკრეტული ტექნიკური პირობების დაცვის შესახებ მიიჩნია მითითებად ზოგადად კანონმდებლობის მოთხოვნების შესახებ და არა სავალდებულოდ შესასრულებელ პირობებად, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც იყო შესაძლებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საკასაციო საჩივარში ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზიების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რის გამოც გამოტანილია არასწორი, უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

# პრიტენზია ფაქტობრივ ბარემოებზე

შენიშვნა-15    შენიშვნა-16

## 1. პრეტენზია

პალატამ განზრახ არასწორად დაადგინა და შეაფასა ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანებით კომპანიას ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი ჩ) მოქმედების ვადა გაგრძელდა 2020 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით განსაზღვრული კოორდინატების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობმა შეადგინა 9 ჰექტარი.

აქედან გამომდინარე, პალატამ, ასევე, არასწორად დაასკვნა, რომ სსიპ გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს ადმინისტრაციულ წარმოებაში ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" ჩაბმის ვალდებულება კანონმდებლობის თანახმად არ გააჩნდა, ვინაიდან 29.12.2014 წლის განცხადებით მოთხოვნილი მითითებული კოორდინატების ფარგლებში არსებული ტერიტორიის ფართი შეადგენდა 9.0 ჰა-ს და შპს რმჯ გოლდის მიერაც შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიაზე იქნა მოთხოვნილი ლიცენზიის ვადის გაგრძელება. აღნიშნული კი გამორიცხავს ადმინისტრაციულ წარმოებაში სხვა პირის ჩაბმის ვალდებულებას ორპუსის კონვენციის დანართი 1-ის მე-16 პუნქტში მითითებული კრიტერიუმის შესაბამისად.

### დასაბუთება:

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანებით კომპანიას ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი ABC) მოქმედების ვადა გაგრძელდა 2020 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის #2597 განკარგულებით განსაზღვრული კოორდინატების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობმა შეადგინა 9 ჰექტარი, აქედან გამომდინარე, გაგრძელდა ლიცენზიის და არა ლიცენზიის ნაწილის მოქმედების ვადა. სასამართლომ არ მისცა შეფასება იმ გარემოებას, რომ 9 ჰექტარი არის საყდრისის საბადოს ფარგლებში დამტკიცებული სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობის 193,79 ჰა-ს შემადგენელი და რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანებით გაგრძელდა ლიცენზიის და არა მისი ნაწილის მოქმედების ვადა. ამგვარად არასწორად დადგენა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებისა ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს, რომ განსახილველ სადავო ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად არ იქნეს გამოყენებული "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორპუსის) კონვენციის შესაბამისი ნორმები: ა) კონვენციის დანართი 1-ის მე-16 პუნქტი, რომლის რეგულაციის ფარგლებში ხვდება ადგილები, სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს ან მიწის ქვეშა მოპოვება, სადაც სამთო სამუშაოების გავლენის ზონა აღემატება 150 ჰექტარს და კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი, რომლის თანახმად, კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებზე (მათ შორის, წიაღითსარგებლობაზე - დანართის 16 პუნქტი) მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისას, გადაწყვეტილების მიმღები ვალდებულია იხელმძღვანელოს მე-6 მუხლის 2-9 პუნქტების დებულებებით და უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების ეფექტური ჩართვა და მონაწილეობა.

## 2. პრეტენზია



პალატამ წინამდებარე საქმეზე 2017 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით იმსჯელა და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი 30.03.2006 წლის ბრძანება "საყდრისი-ყაჩარჩანის" ფარგლებში, რითაც ლიცენზიანტს მოეხსნა შეზღუდვა წიაღითსარგებლობის უბანზე განხორციელებინა საბადოს დამუშავება.

დასაბუთება:

იმ პირობებში, როდესაც სარჩელის მე-10 ფაქტობრივ გარემოებაში შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებულად იყო წარმოდგენილი მოსარჩელის მოსაზრებები მასზედ, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო კანონიერ ძალაში და დავა განიხილებოდა საკასაციო ინსტანციაში, სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები იმის შესახებ, რომ ლიცენზიანტს მოხსნილი ჰქონდა შეზღუდვა წიაღითსარგებლობის უბანზე განხორციელებინა საბადოს დამუშავება საფუძველს მოკლებულია, არასწორია, უკანონოა და არ უნდა იქნეს გაზიარებული. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების (ანუ შეზღუდვის მოხსნა) სწორად დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, რომელსაც საერთოდ არ მიაქცია ყურადღება საჯარო უფლებამოსილების ერთ დღეში განხორციელებისას სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ. ამასთანავე,

### 3. პრეტენზია

პალატამ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2014 წლის 30 დეკემბრის №2-03/9107 მიმართვაში 6 პუნქტად ჩამოყალიბებული კონკრეტული ტექნიკური პირობები მიიჩნია მითითებად ზოგადად კანონმდებლობის მოთხოვნების შესახებ, თუმცა არ იმსჯელა და არ შეაფასა სააპელაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიის შესახებ მასზედ, რომ დეპარტამენტის 2014 წლის 30 დეკემბრის №2-03/9107 წერილში 6 პუნქტად ჩამოყალიბებული კონკრეტული ტექნიკური პირობების შეთანხმება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სად და ვის მიერ განხორციელდა 2014 წლის 31 დეკემბრამდე ანუ ერთ დღეში და კონკრეტულად რომელი მტკიცებულებით დასტურდება აღნიშნული.

დასაბუთება:

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლები და არ გამოითხოვა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და ინფორმაცია. კერძოდ: საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე არ შეაფასა საქმიანობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ განცხადების წარდგენიდან ერთ დღეში რამდენად არის შესაძლებელი ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილად ჩატარება მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებლობით სავალდებულოა სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობა, სასამართლომ არ გამოიკვლია (მიუხედავად მოსარჩელის/აპელანტის არაერთგზის მითითებისა) საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2014 წლის 30 დეკემბრის #2-03/9107 მიმართვაში 6 პუნქტად ჩამოყალიბებული კონკრეტული ტექნიკური პირობების შეთანხმება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სად და ვის მიერ მოხდა 2014 წლის 31 დეკემბრამდე (ერთ დღეში), კონკრეტულად რომელ დოკუმენტში აისახა ამ ტექნიკური პირობების შეთანხმების შესახებ, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ "არის

"სხვა" ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას საჯარო უფლებამოსილება განხორციელებულია კანონსაწინააღმდეგოდ, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანება.

#### 4. პრეტენზია

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილია პალატის ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 30 დეკემბრის #2-03/917 წერილთან მიმართებაში. ერთ შემთხვევაში, პალატამ დასახელებულ წერილში მითითებული პირობები მიიჩნია, რომ არის მითითება ზოგადად კანონმდებლობის მოთხოვნებზე, თუმცა იქვე მიუთითა, რომ დეპარტამენტმა ამ წერილის თანახმად მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულებით მითითებულ კოორდინატებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ტექნიკური პირობების დაცვის აუცილებლობის შესახებ. სწორედ დეპარტამენტის 30.12.2015 წლის წერილში 6 პუნქტად ჩამოყალიბებული ტექნიკური პირობების დაცვის გაუთვალისწინებლობა წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნის ერთ-ერთ ფაქტობრივ საფუძველს, შესაბამისად სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ მოტივს, თუმცა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ცალსახად დასტურდება სასამართლოს მცდელობა დეპარტამენტის წერილში 6 პუნქტად დასახელებული ტექნიკური პირობების დაცვის შესახებ მითითება წარმოადგინოს მითითებად ზოგადად კანონმდებლობის მოთხოვნებთან და არა აუცილებლად გასათვალისწინებელ და შესასრულებლად სავალდებულო პირობებად ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, რაც არასწორია და არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან.

### შუამდგომლობები

*შენიშვნა-17    შენიშვნა-18*

#### 1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

#### 2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

# საჩივრის ფასი

შენიშვნა-19

არაქონებრივი ღარი

# სასელმწიფო ბაჟი

შენიშვნა-20

300 ღარი

## სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, საზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ  არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).

5.

შპსი/შპსა-21

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ**  მორიგების პირობები:

**არა**  რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შენიშვნა-22

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-23

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

### თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-24    შენიშვნა-25

1. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი
  2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 ფურცელი;
  3. რწმუნებულება - 1 ფურცელი
- ფურცლების საერთო რაოდენობა: 4

## საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დას	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

*მხოლოდ სასამართლო მონხმარებისათვის*

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**  
 სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ნინო გუჯარაიძე ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელი დირექტორი	21/05/2018წ.
---	--------------

ხელმოწერა ხელმოწერის სახელი, გვარი შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკასაციო საჩივარი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

